F 343
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

# დილა

№ 4 ივლისი - აგვისტო 1999 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოია ვაშაკიძე

## ჩვენი «დილა»

ხმაჟღურტულა მერცხალივით
დღეს ჩემს ჭერქვეშ მოფრენილა,
მზით და მთვარით მოხატული
საყვარელი ჩვენი „დილა“.
ოქროვანი ანი, ბანი,
შიგ სხივებად ჩაჰფენია,
საქართველოს ცის და მიწის
სიყვარულზე მღერის „დილა“.
ხან ბულბულთა გუნდი გალობს,
ნარნარს ცეკვავს ღრუბლის ფთილა.
გული ხარობს, გული მღერის,
როცა ჩემთან არის „დილა“:
ვსწავლობ ლექსებს,
ვსწავლობ ზღაპრებს,
სასთუმალთან მიდევს ხშირად,
მის შემქმნელებს, გამომცემლებს
გულით სამადლობელს ვწირავ.
ყველა ჰწკარში სიბრძნის, ახლის
შუქი უხვად ჩაფენილა,
სურვილი მაქვს, - ყველა სახლის
კარს აღებდეს ჩვენი „დილა“.






## ძვირფასო პატარებო!

ჟურნალ “დილის” ეს ნომერი თავისი წინამორბედებისაგან რამდენადმე განსხვავებულია – მისი გვერდები ფოთლებშემოძარცვულ ხეებს მოგაგონებთ.
ჩვენ ასე განგებ მოვიქეცით, ვიფიქრეთ, ზაფხულია, ბავშვები ისვენებენ, თავისუფალი დრო მეტი აქვთ და თავიანთ ჟურნალს თვითონვე გააფერადებენ-თქო!
ამიტომ ახლა ასე დავიწყოთ: ჯერ თითოეული გვერდი გავაფერადოთ, დასახატიც დავხატოთ და ამოცანებიც ამოვხსნათ!
ხოლო თუ ენასაც გავიტეხთ და ლაბირინთებშიც გავერკვევით, ჟურნალის ამ ნომერს “დილისთვის” ჩვეული სიცინცხალე დაუბრუნდება!
არდადეგების მხიარულ გატარებას გისურვებთ, ჩემო პატარებო!

დოდო დეიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა


F6771




1. რა ყვავილით ხვდება დედა ენა ბავშვებს?
2. რა ჰყოფს თბილისს ორ ნაწილად?
3. რა ერქვა ბიჭს, წიგნზე რომ ჩაყვინთა და თხამ რომ ურქინა?
4. რა იყო საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისამდე?
5. რა სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა?
6. ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ რას?
7. რომელ პოეტს მიაქროლებს მერანი?
8. რა არის, რისი ამოშლაც არ შეიძლება ტვინიდან?
9. მე, ბებია, ილიკო და ........?
10. პლანეტის მინიატურული მოდელი.
11. რა მოუხმობს მოსწავლეებს სკოლისაკენ?




საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს ჩემი სახლია!

საინტერესოა, რომ კატას პატრონზე მეტად ის სახლი უყვარს, სადაც ცხოვრობს.




პატრონის სახლი და ეზო-ბაღი მას საკუთარ „კარ-მიდამოდ" მიაჩნია და სხვა კატამ რომ გაბედოს იქ შესვლა, ნამდვილი ბატონ-პატრონივით შეათვალიერებს მას.




თუ მომხდური მოიკუნტა და თავი გვერდზე მიატრიალა, ესე იგი ის „სტუმრად" არის მოსული. სამტროდ მოსული ზურგს ღრმად გაზნექს და კატების საბრძოლო „სიმღერას" წამოიწყებს. დამხვდური ჯერ ასეთივე პოზას მიიღებს, შემდეგ კი ზურგზე დაწვება და თათებს ზემოთ აიშვერს. ეს უკვე მუქარაა — გირჩევნია წახვიდე, თორემ კუდით ქვას გასროლინებო.




უფრო ხშირად დაუპატიჟებელი სტუმარი უკან იხევს და მიდის. თუ არა და, სასტიკი ბრძოლა გარდაუვალია.




კატა ღამის ცხოველად ითვლება, შუადღისთვის მას თვალის გუგები უვიწროვდება, ღამით კი უფართოვდება. კატის თვალების ამ თვისებას ადამიანები ძველთაგანვე იყენებდნენ დროის გასაგებად — დავიწროება-გაფართოების ეს პროცესი ხომ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობს. ასე რომ, თუ საათი ან გაგიჩერდათ, ან ხელთ არა გაქვთ, გირჩევთ, კატის თვალებს დააკვირდეთ — ოღონდ ფრთხილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ძველ ეგვიპტეში კატის კულტი იყო გავრცელებული. ქურუმებმა ის წმინდა ცხოველად გამოაცხადეს და ღმერთქალ ბასტეტს მიუძღვნეს. ბასტეტს, რომელიც მთვარის ღმერთად — ნაყოფიერებისა და ბავშვთა დაბადების ღმერთად ითვლებოდა, კატის თავით გამოსახავდნენ. ამის მიზეზი კატის ნაყოფიერება (მრავალშვილიანობა) და ღამეული ცხოვრების წესი იყო.







კატა აქ დიდ პატივში ჰყავდათ. როდესაც კატა კვდებოდა, კატების სასაფლაოზე ასაფლავებდნენ და მთელი ოჯახი, ღრმა წუხილისა და გლოვის ნიშნად, თმებს და წარბებს იპარსავდა. ვინც კატას რაიმე ზიანს მიაყენებდა, იმას მკაცრი სასჯელი ელოდა. კატის მოკვლისათვის კი ადამიანს სიკვდილით სჯიდნენ.




ცეცხლმოკიდებული სახლიდან პირველ რიგში კატა გამოჰყავდათ, შემდეგ კი თავიანთი ავლა-დიდება გამოჰქონდათ. ქვეყნის ფარგლებს გარეთ კატის გაყვანაც კი აკრძალული იყო. ძველი ეგვიპტიდან კატა ბაბილონში გავრცელდა, შემდეგ კი — ინდოეთსა და ჩინეთში. ოჯახში მისი ყოლა დიდ ფუფუნებად ითვლებოდა.







კატების ოჯახის ერთ-ერთი სახეობაა სიამის კატა. იგი ძალიან ალერსიანი და დამჯერია და მასთან სეირნობაც კი შეიძლება. სიამის კატა ისეთი ჭკვიანია, რომ ტუალეტში უნიტაზსაც კი ადამიანივით იყენებს.
კატების ერთ-ერთი უძველესი სახეობაა ანგორის ანუ სპარსული კატა. მას ძალზე გრძელი და ფუმფულა ბეწვი აქვს, რომელიც კისერზე ლომის ფაფარს წააგავს.
თურმე, არსებობენ უკუდო კატებიც. მათი სამშობლოა კუნძული მენი.

6

წითელი 1, ყვითელი 2,
რუხი 3, ცისფერი 4,
ნარინჯისფერი 5,
მწვანე 6,
ყავისფერი 7



იპოვეთ 20 განსხვავება



ეროვნული ბიბლიოთეკა





ლექსის დაზეპირება ბევრი ბავშვისთვის ნამდვილი საგანჯველია. ჯერ ხუთჯერ უნდა წაიკითხო, მერე დედას ჩააბარო, შეგეშლება, აბა რა იქნება. მერე ისევ კითხულობ, კითხულობ, კითხულობ... დილით უთენია გაღვიძებენ, გაიმეორე, უკეთესად გემახსოვრებაო, მაგრამ გაკვეთილზე საპასუხოდ რომ წამოდგები, წინა დღით დაზეპირებული სიტყვები სადღაც მიფრინავენ. რატომ? გაიხსენე, როგორ იწყებ ლექსის სწავლას: წაიკითხავ სტრიქონს და მხოლოდ ასოებს, სიტყვებს და სასვენ ნიშნებს ხედავ. თუ კარგი მხედველობითი მეხსიერება გაქვს, ადვილადაც იზეპირებ, მაგრამ ასოები და ცალკეული სიტყვები შენს წარმოსახვამდე ვერ აღწევენ და ადვილად იკარგებიან, იშლებიან.

*სერზე მიდის სამი მგელი,*
*ტუჩმურა და კუდაგრძელი,*
*ერთმანეთს ეუბნებიან:*
*„ჭალას არის ლურჯა ცხენი,*
*ერთმა თავსა დავურბინოთ,*
*ორმა გავკრათ გავას ხელი,*
*პატრონს კაცი გავუგზავნოთ,*
*ნუღარ გვინდა ბზე და ქერი.*
*მოდი ნალები წაიღე,*
*წალდი გამოგივა მჭრელი,*
*ძუა-ფაფარი წაიღე,*
*საცერი დაგეწნების სქელი.“*

აბა სხვაგვარად სცადე წაკითხვა. ერთი ძალიან ცნობილი ხალხური ლექსი გაიხსენე: „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია“. მოიგონე, სად გინახავს ასეთი სურათი, როგორი იქნება წითლად აბრდღვიალებული ყაყაჩოები მწვანე მდელოზე.

„დილაში“ დაბეჭდილ ლექსებს ყოველთვის ახლავს ნახატი. ჩვენი მხატვრები ლექსის წაკითხვის შემდეგ როგორ სურათსაც წარმოიდგენენ, ისეთ ნახატს აკეთებენ. იქნებ მუცელატკივებულ თაგუნიას ან დაღვრემილ, თითქოს მურით გათხუპნულ ღრუბელს შენ სხვანაირად დახატავდი. მოდი, ვსინჯოთ.

ეს ლექსი კარგად წაიკითხე, არ იჩქარო, მერე თვალები დახუჭე და წარმოიდგინე სურათი, ფერები, საგნები. ვფიქრობ, მშვენიერი ნახატი გამოგივა, თან ლექსის სწავლის ახალ წესსაც გამოსცდი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაეხმარეთ კოსმონავტს დედამიწაზე დაბრუნებაში!




მოუნახეთ
ყველას თავ-თავისი ნაკვალევი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საათი




1. გამოჭერი საათი და კედელზე მიაკარი.
2. ისრები გამოჭერი მუყაოსაგან.
3. ისრები ციფერბლატის ცენტრში ლურსმნით მიამაგრე. ლურსმანი ბოლომდე არ ჩააჭედო, რომ ისრებმა თავისუფლად იმოძრაონ.

## დაიმახსოვრე!

### დღე-ღამეში 24 საათია.

ციფერბლატზე მიწერილი თორმეტი ციფრი დაგეხ-მარება გამოიცნო დრო 1-დან 12 საათამდე და 13-დან 24 საათამდე. ციფერბლატზე ისრების ერთი სრული შემობრუნება ერთ სრულ საათს გიჩვენებს. მაგალითად, თუ გრძელი ისარი 12-ზე დგას, მოკლე კი 5-ზე, იცოდე, რომ სრული 5 საათია. ესეც იცოდე, რომ 12 საათის შემდეგ ათვლა თავიდან იწყება: დღის 1 საათი იგივეა, რაც 13 საათი, 2 საათი – 14, და ა.შ. როცა საათი ღამის 12 საათს გიჩვენებს (ორივე ისარი 12-თან დგას), ეს ნიშნავს, რომ დღე-ღამის 24 საათი მიიწურა.

### საათში 60 წუთია

ციფერბლატზე მიწერილი თორმეტი ციფრი დაგეხ-მარება გამოიცნო დრო წუთებშიც. მონაკვეთი ერთი

## მოდი, ვისწავლოთ საათის ცნობა

ციფრიდან მეორემდე გიჩვენებს ხუთ წუთს. იან-გარიშე: 6-იანამდე 6X5, ანუ 30 წუთია, ეს ნახევარ საათს უდრის, 6-დან 12-მდე – კიდევ 30 წუთია (ანუ სულ 60 – ერთი საათი). ახლა დაისწავლე: ვთქვათ, გრძელი ისარი 1-თან დგას, მოკლე კი ოდნავ არის დაძრული 12-იდან 1-ისკენ, ეს ნიშნავს, რომ 1-ის ხუთი წუთია. თუ გრძელი ისარი 2-თან არის, ეს გვიჩვენებს, რომ 10 წუთია გასული იმ საათიდან, რომლიდანაც ოდნავ არის დაძრული მოკლე ისარი. 6-თან მისული გრძელი ისარი გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ საათის შესრულების შემდეგ კიდევ ნახევარი საათია გასული და ახლა უკვე ერთი სრული საათის შესრულებას 30 წუთი უკლია. თუ მოკლე ისარი 1-ს მიუახლოვდა, გრძელი ისარი კი 9-სთან დგას, 1-ს უკლია 15 წუთი. დანარჩენი შენს მიხვედრილობაზეა დამოკიდებული.

ნომრების მიხედვით გააფერადე ეს ორი გვერდი. მიიღებ სხვადასხვა ქვეყნის დროშებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ დახლართულ გზებს გაჰყევი და მიხვდები, რომელ ქვეყანას, როგორი დროშა აქვს.




1. რატომ არ ეტევა ეს ნავი მანქანაში? (ამის ახსნა იოლია, თუ იცი, რომ მყარი სხეულები არ იკუმშება და არ პატარავდება)
4. რატომ დახტის ბურთი?
Cafe-Bar
როცა ამ ნახატის გაფერადებას დაიწყებ, ეცადე წარწერებიც გულმოდგინედ წაიკითხო. აღმოაჩენ, რომ ფიზიკა სულაც არ არის მოსაწყენი საგანი. მას უამრავ შეკითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა.
ყველაფერი, რაც შენს ირგვლივ არის, მყარ სხეულებად, სითხეებად და აირებად იყოფა. თითოეულს საოცარი თვისებები და საიდუმლოებები აქვს. შეეცადე შეკითხვებს თავადვე უპასუხო, შეგიძლია სახელმძღვანელოებიც დაიხმარო ან უფროსებს მიმართო.
წყალს თუ გაყინავ, მყარ სხეულად — ყინულად იქცევა, თუ დაადნობ — რად იქცევა? თუ აადუღებ — რად?
3. ფორმა არც აირს აქვს, მაგრამ სითხისაგან განსხვავებით ის შეიძლება შეიკუმშოს და უფრო მცირე მოცულობა დაიკავოს, ან გაფართოვდეს კიდეც.
6. რა თვისება აქვს მარილიან წყალს?
7. როგორ ჩერდება სხეული წყლის ზედაპირზე?
9. სად მიდის წყლის მასა, როცა ორთქლდება?
8. რატომ ტივტივებს ბურთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამდენი სპილო იმალება პალმებში?

მონადირეს ეგონა, კურდღელი ამ მახიდან ვერსად გაექცეოდა, მაგრამ მახის შუაგულიდან გამოქცეულმა კურდღელმა ლაბირინთის ყველა ბილიკი ისე გაირბინა, რომ არც ერთ წერტილზე ორჯერ არ მოხვედრილა და მახეს თავი ასე დააღწია. აბა, თუ მიხვდები, როგორ გაიარა?



ეროვნული ბიბლიოთეკა








## სასაცილო დუელი



მავთულის ორი ნაჭერი მართი კუთხით მოხარე ისე, რომ შუაში მიიღო რგოლები, რომლებითაც მათ მაგიდის გვერდზე მიჭედებულ ლურსმნებზე ჩამოკიდებ. მავთულების ქვედა ბოლოებზე სიმძიმისათვის რამე ჩამოაცვი, მაგალითად, კარტოფილი, ვაშლი, მსხალი... ზევით კი წებოთი მიამაგრე ქაღალდის ფიგურები. საკმარისია ერთ-ერთ „გირს“ ხელი გაჰკრა, რომ ფიგურები გაცოცხლდებიან და ერთმანეთს ფარიკაობას დაუწყებენ.



## სანთელი ბოთლის უკან

(მხიარული ფოკუსი)

შეგიძლია მეგობრებთან სანაძლეო დადო, რომ ბოთლს ამოფარებულ ანთებულ სანთელს ერთი შებერვით ჩააქრობ. ეს მართლაც ასე მოხდება, თუ სანთელს 20-30 სმ მანძილიდან შეუბერავ. ბოთლს ხომ მრგვალი ფორმა აქვს: ჰაერის ნაკადი, როცა მას ეჯახება, ორად იყოფა, ბოთლს გარშემო შემოუვლის და სანთელთან ისევ ერთდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## ვის რა ფერი კაბა აცვია?

თინიკო, ნანა და მაია მდელოზე პეპლებს დასდევენ. ერთს ყაყაჩოსავით წითელი კაბა აცვია, მეორეს პეპელასავით ჭრელი, მესამეს – ღიღილოსავით ლურჯი. თინიკოს კაბა არ არის წითელი, ნანასი – არც წითელი და არც ლურჯი.

აბა მიხვდი, რომელ გოგონას რა ფერის კაბა აცვია,
გააფერადე მდელოც, ყვავილებიც, კაბებიც,
და ყველა გოგონას თავისი სახელი მიუწერე.



ნელი ოქროპირიძე

# ჩხირკედელას სახელოსნო







## *აფრიანი ნავები*

ნავების ფუძედ ნაძვის ხის ქერქი გამოიყენე, აფრებად კი - არყის ხის თეთრი, ლამაზი ქერქი, რომელიც ფურცელივით სძვრება ხეს; წკირებით შეგიძლია ანძები გააკეთო და მათ თავზე პატარა ფერად-ფერადი ფოთლები დროშებივით ააფრიალო.

F6771

## თოჯინები შამპუნის ბოთლებისაგან

რკოს კაცუნამ შამპუნის ცარიელი ბოთლები მოაგროვა - სხვადასხვა ფორმისა და ფერისა. მერე ფერადი ქაღალდებით ადამიანების ცხვირ-პირი, თმა-წვერი, ,,ტან-საცმელი" და ,,თავსაბურავები" შექმნა, გამოჭრა, წებო მოიშველია და აი, ასეთი სასაცილო თოჯინები გააკეთა. შამპუნის ცარიელი ბოთლები უთუოდ შენს სახლშიც იქნება. შეარჩიე ისინი და შენი ფანტაზიით ,,მორთე და მოკაზმე". ნახავ, რა კარგი თოჯინები გამოგივა.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალისო მათემატიკა

თ. ქ.




გამოსაყვანი გაქვს ორ-ორი მაგალითი – გამრავლების შედეგი უნდა იქნეს 12, გაყოფის – 3, მიმატების – 9, გამოკლების – 6 (როგორც საათის ციფერბლატი მიგანიშნებს). ახლა იცოდე, რომ წრეებში უნდა ჩაწერო საჭირო რიცხვები; ნახატი ფიგურებიდან უნდა ამოარჩიო ერთნაირები (გამონაკლისია ფანქრები – ისინი ერთიანად უნდა დაითვალო); გულებში ჩაწერილი ციფრები კი შეკრიბე და გაყავი ისე, რომ მიიღო 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# გეომეტრიული გასართობები



აიღე ქაღალდი და გამოჭერი ორი აი, ასეთი, ზუსტად ერთნაირი, ერთი ზომის მართკუთხა სამკუთხედი. თუ მათ ტოლი გვერდებით სხვადასხვანაირად მიადგამ ერთმანეთს, მიიღებ რამდენიმე ოთხკუთხედ და სამკუთხედ ფიგურას. აბა ნახე, რამდენი და რა ფიგურები გამოგივა.

---





უჯრედებიანი რვეულის ფურცლიდან გამოჭერი ორი ასეთი კვადრატი. გაჭერი დიდი კვადრატი შუაზე, მერე ორივე ნახევარი — ორ-ორ სამკუთხედად, როგორც ნახაზზე გაქვს მითითებული. ახლა კი ამ ხუთი ფიგურიდან (ოთხი სამკუთხედი და ერთი მომცრო კვადრატი) შეეცადე შეადგინო ერთი დიდი კვადრატი.

---

ამ ხუთი ფიგურიდან ერთი „ზედმეტია“. თუ მიხვდები რომელია „ზედმეტი“ და რატომ?



---

უჯრედებიანი რვეულის ფურცლიდან გამოჭერი 8-8 უჯრიანი კვადრატი. შიგ, ისე როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, ჩახაზე ხუთი სწორი ხაზი. ამის შემდეგ კვადრატი დიაგონალზე გაჭერი (ესეც მინიშნებულია ნახაზზე), ნახევრები ისევ მიადგი ერთმანეთს, ოღონდ ერთი უჯრით ააცდინე. აი, ასე... ხედავ, რა მოხდა? ხუთი ხაზიდან ერთი გაქრა. ნეტავ რატომ? აბა, დაფიქრდი.



---



ამ ფიგურებს ერთი საერთო სახელი აქვთ. რა სახელი? მაგრამ მათგან ერთი მაინც განსხვავდება. რომელი და რით? როგორია მისი ზუსტი სახელი?

# ენის გასატეხები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთსა კაცსა ბლისკინელსა
ბლის კალათით ბლის ხიდზედა
ბალი გაჰქონდ-გამოჰქონდა.



პეპლები
ფრთაფარფატები
დაფრენენ,
დაფრთაფარფატებენ.



შენი ცხვარი რქაგრეხილი
ჩემსა ცხვარსა რქაგრეხილსა
რას ერჩოდა, რას ებრძოდა,
რას ერქაგრეხილებოდა?









ნინო ნიქაბაძე



ჩემი ოჯახი
ანა ნიქაბაძე

# გილოცავთ დაბადების დღეს

დავით გიგოშვილი, ალექსანდრე (აკა) გოშაძე, ანა და ბელა დანელიები,
გვანცა მდინარაძე, გვანცა მელაძე, თამარ და გიორგი მელიქიძეები,
გიორგი მიქატაძე, ნიკო ნიკურაძე, მერაბ რუხაძე, თორნიკე და
დიმიტრი ღლიღვაშვილები, ნათია შავაძე
თიკო შალამბერიძე, ანანო ჯინჭარაძე



# გილოცავთ

ვანიკო აბრამიშვილი, თამუნა და ვაკუშა
გეგიძეები, თაკო გელაშვილი, გიორგი და
ირაკლი დავითაშვილები, დიმიტრი კახნიაშვილი,
ილია ლომიძე, ,დარეჯან მოსეშვილი,
ბარბარე რუხაძე, მიშიკო სვანიძე,
ქეთი სხირტლაძე, გიგლა ღურჭუმელია,
რუსუდან ჩიკვაიძე, ანა და მამუკა
ხერხეულიძეები, თორნიკე ჯანგულაშვილი,
ნინიკო ჯაფარიძე,
გვანცა, ერეკლე, ცოტნე ჯმუხაძეები





მთავარი რედაქტორი დოდო წიწვიძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური

ყდაზე ნახატი: ედუარდ ამბოკაძისა

დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30 გამოდის 1904 წლიდან

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ხელმომწერთათვის 2 ლარი